საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1600 2019 წლის 10 ივლისი ქ. თბილისი

2020-2023 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს 2020-2023 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი.

2. „მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობისა და მონიტორინგისათვის“ საქართველოს პარლამენტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროებმა 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მომზადებისას უზრუნველყონ პროგრამული ბიუჯეტის დანართში გაეროს

მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG) შემდეგი პროგრამების ურთიერთშესაბამისობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა:

ა) „გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია“;

ბ) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში „აივ ინფექციის/შიდსის მართვა“;

გ) ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება“.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**